განმარტებითიბარათი

თავდაპირველად 29.06.07წ. № 6020 ქალაქმშენებლობითიპირობებიგაიცაორმიწისნაკვეთზე (№01.17.13.040.043 და №01.17.13.040.019) , რომელთასაერთოფართი შეადგენდა 7910 მ2 –ს .ამის შემგომ,№01.17.13.040.043 მიწისნაკვეთიგაიყოხუთ ნაწილად, რის შედეგადაცმივიღეთ ექვსისაკადასტროერთეული, რომელთაცქ.თბილისისმერიის 12.04.11 წლის №716;719;720; №721;722;723 ; განკარგულებებით ინდივიდუალურადმიენიჭათ კ1 , კ2 დაკ3 კოეფიციენთები .ესცვლილებადაფიქსირდა 29.06.07 წლის №6020 ქალაქგეგმარებით პირობებშიც (20.05.11 წლის №1888 ბრძანება) . ამის შემდგომ, №01.17.13.040.019 მიწისნაკვეთს ჩამოეჭრაელ. ტრანსფორმატორისმიწისნაკვეთი , შეიცვალამისიფართობიდასაკადასტროკოდიგახდა №01.17.13.040.104 . აღნიშნულიცვლილებაკვლავდაფიქსირდა №6020 პირობებში (02.06.2014წ, №1294282 ბრძანება) . ამჟამადკიდევგაერთიანდაორიმიწისნაკვეთი №01.17.13.040.085 და №01.17.13.040.104 დამიენიჭასაკადასტოროკოდი №01.17.13.040.121 (რაცვლილებებსაცპირველპუნქტადვითხოვთ ამჟამად), მაგრამვიდრეესგაერთიანებამოხდებოდაამსაკადასტორერთეულებზე (№01.17.13.040.085 და №01.17.13.040.104) გაიცასპეციალურიზონალური შეთანხმება, სადაცგაიზარდამხოლოდკ2 - 7.5 მადე (15.04.2014 წლის №836 განკარგულება) . ვინაიდან №836 განკარგულებაუფროახალიაუნდაგაუქმდეს 2011წლის №716 და №720 განკარგულებებიდაყველაცვლილებააისახოს №836 განკარგულებაში, რასაცვითხოვთ მეორეპუნქტად .

29.06.07 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

29.06.07 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ დამკვეთ შპს „არსი-ავლაბარი" და შპს „შრომა-92"-ზე ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, შავი ზღვის ქუჩა №1 და №3-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გაიცა №6020 ქალაქთმშენებლობითი პირობები.

2011 წლის 5 მაისს სამსახურს №07/51876-13 განცხადებით მომართა შპს „არსი-ავლაბარმა" და მოითხოვა №6020 ქალაქმშენებლობით პირობებში სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ №6020 ქალაქმშენებლობით პირობები გაცემულ იქნა 7910 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01/17/13/040/043 და №01/17/13/040/019), აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერების და საკადასტრო გეგმების თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა ექვს მიწის ნაკვეთად საკადასტრო კოდებით: №01/17/13/040/019 – 1521.00 კვ.მ.; №01/17/13/040/087 – 1640.00 კვ.მ., №01/17/13/040/086 – 1542.00 კვ.მ., №01/17/13/040/085 – 1244.00 კვ.მ. №01/17/13/040/088 – 806.00 კვ.მ და №01/17/13/040/084 – 1157.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მინიჭებასთან დაკავშირებით საკითხი გატანილ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე (სხდომის ოქმი 06.04.2011 წ. №13) და ქ. თბილისის მერის განკარგულებით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №716 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/019, პარამეტრები: კ1=0.5; კ2=4.2; კ3=0.1;

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №722 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/087, პარამეტრები: კ1=0.4; კ2=4.2; კ3=0.4;

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №719 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/084, პარამეტრები: კ1=0.6; კ2=4.2; კ3=0.2;

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №723 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/088, პარამეტრები: კ1=0.9; კ2=2.4; კ3=0.1;

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №720 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/085, პარამეტრები: კ1=0.2; კ2=4.2; კ3=0.4;

ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №721 განკარგულება საკ. კოდი №01/17/13/040/086, პარამეტრები: კ1=0.5; კ2=4.2; კ3=0.2.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას №6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური ლიკვიდირებულია ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლების თანხმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „არხი-ავლაბრის" 2011 წლის 5 მაისის №07/51876-13 განცხადება;

2. 29.06.07 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/019, 1521.00 კვ.მ, პარამეტრები: კ1=0.5; კ2=4.2; კ3=0.1;

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/087, 1640.00 კვ.მ., პარამეტრები: კ1=0.4; კ2=4.2; კ3=0.4;

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/084, 1157.00 კვ.მ., პარამეტრები: კ1=0.6; კ2=4.2; კ3=0.2;

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/088, 806.00 კვ.მ., პარამეტრები: კ1=0.9; კ2=2.4; კ3=0.1;

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/085, 1244.00 კვ.მ, პარამეტრები: კ1=0.2; კ2=4.2; კ3=0.4;

საკადასტრო კოდი №01/17/13/040/086, 1542.00 კვ.მ., პარამეტრები: კ1=0.5; კ2=4.2; კ3=0.2.

ბ) გამიჯნული საკადასტრო ერთეულების პირობებში დაცული იქნას სამეზობლო მიჯნები კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) სამშენებლო დოკუმენტაციას დაემატოს: შპს „არსი-ავლაბრის" 2011 წლის 5 მაისის №07/51876-13 განცხადება, საკადასტრო გეგმები და საჯარო რეესტრის ამონაწერები შემდეგი საკადასტრო კოდებით: №01/17/13/040/019; №01/17/13/040/087, №01/17/13/040/086, №01/17/13/040/085, №01/17/13/040/088 და №01/17/13/040/084, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 06.04.2011 წ. №13 სხდომის ოქმი, ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №716 განკარგულება; ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №722 განკარგულება; ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №719 განკარგულება; ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №723 განკარგულება; ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №720 განკარგულება; ქ. თბილისის მერის 2011 წლის 12 აპრილის №721 განკარგულება.

3. წანამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 29.06.07 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №6020 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 716

" 12 " აპრილი 2011 წ.

ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/040/019), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 6 აპრილის სხდომის №13 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/040/019), განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,5, კ2=4,2, კ3=0,1.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 720

" 12 " აპრილი 2011 წ.

ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/040/085), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 6 აპრილის სხდომის №13 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/040/085), განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,2, კ2=4,2, კ3=0,4.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1294282

ნომერი: AR1219184

თარიღი : 13.05.2014

გაცემის თარიღი : 02.06.2014

გაცნობის თარიღი : 03.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეხ კაჩინსკი N1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეხ კაჩინსკი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შავი ზღვის , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შავი ზღვის , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შავი ზღვის , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შავი ზღვის , N 3 ;
თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის29.06.2007 წ. #6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 13.05.2014 წ. #AR1219184 განცხადებით შ.პ.ს „არსი ავლაბარი“–ს მინდობილმა პირმა მამუკა მირზიაშვილმა და მოითხოვა 29.06.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 29.06.2007 წელს ქალაქ თბილისში, შავი ზღვის ქ. #1 და #3-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენების მიზნით დადგინდა #6020 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აქტი გაცემულ იქნა #01.17.13.040.043 და #01.17.13.040.019 საკადასტრო ერთეულებზე, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 მაისის #1888 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება კერძოდ: ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთები დაიყო 6 საკადასტრო ერთეულად და ქალაქთმშენებლობით პირობებში დაფიქსირდა #01.17.13.040.019; #01.17.13.040.087; #01.17.13.040.084; #01.17.13.040.088; #01.17.13.040.085; #01.17.13.040.086;

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 29.06.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #6020 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი გათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე'' შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 29.06.2007 წ. #6020 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ #01.17.13.040.087; #01.17.13.040.084; #01.17.13.040.088; #01.17.13.040.085; #01.17.13.040.086 საკადასტრო ერთეულებთან ერთად დაფიქისრდეს ახალი კორექტირებული #01.17.13.040.104 საკადასტრო გეგმა 1510 მ2–ფართით.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 29.06.2007 წ. #6020 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 მაისის #1888 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ.: (+995 32) 272 22 22
ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
ვებ-გვერდი: tas.ge

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 836

"15" აპრილი 2014 წ.

ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №№1–3–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 3 აპრილის სხდომის №13 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. №№1–3–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=7,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE06LB0125152101627923.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და
განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №13

3 აპრილი 2014 წელი.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე

კომისიის ალმასრულებელი

მდივანი: ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მერაბ გუჯეჯიანი, მანუჩარ მახათაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ა. გაბრიაძე, ნ. რამიშვილი, თ. გიორგაძე, რ. მოსეშვილი, ირ. გამყრელიძე, გ. გურგენიძე, თ. გურგენიძე, ა. ქურციკიძე, ბ. ჩიგოგიძე, ვ. ვისოცკი, ზ. ჭარბაძე, კ. იაშვილი, კ. მემანიშვილი, დ. მოსულიშვილი, ლ. ყავლაშვილი, ალ. ჩიკვაიძე, დ. მახარობლიშვილი, თ. ჯაფარიძე, ა. ჩოქურა, ვ. ცომაია, მ. კურცხალია, ზ. იმედაშვილი, მ. მირზიაშვილი, რ. ჩომახიძე, თ. აბულაძე, ირ. ჩირაძე, თ. მურვანიძე, ს. პატარაია, ი. კვერაიძე, გ. გეორგია, გრ. ხელაძე, გ. მეგრელიშვილი, კ. ძლიერიშვილი, გ. მორგედაძე, მ. ცერცვაძე, ნ. კილასონია, ტ. სამუშია, თ. ხუნჭუა, გ. მღებრიშვილი, რ. გზიავა, ალ. წაქაძე, ნ. კიკნაძე, თ. ჩხაიძე, თ. ალავერდაშვილი, ნ. სიხარულიძე, გ. ქევანიშვილი, თ. ჯავახაძე, შ. ხაჭაპურიძე, ა. ზერეკიძე, ზ. ნეფარიძე, გ. ინასარიძე, გ. სურგულაძე, გ. ინასარიძე, კ. კობალაძე, მ. დავრაშელიძე, მ. რევაზიშვილი, კ. მინდიაშვილი, ი. ლომსაძე, გ. ჭუმბურიძე, თ. ალავერდაშვილი, გ. ინასარიძე, გ. ჭუმბურიძე, ნ. გრიქუროვა, ე. მედულაშვილი, ტ. ხიჯაკაძე, გ. გულაშვილი, მ. სუხიტაშვილი, ა. მაღრაძე, მ. ჭადინავა, ვ. შარიფოვი, დ. გველესიანი, ზ. ზაქარეიშვილი, გ. კუციავა, მ. მახათაძე, თ. მგალობლიშვილი, ე. ასპანიძე, ნ. ლოლობერიძე, ო. ჯაფარიძე, მ. ბოლქვაძე, ბ. კიკალიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

7. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბალანჩივაძის ქ. №3–ში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ.

(მოწვეული – თ. ჯაფარიძე).

8. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბურძგლას ქ. №46–ში (ყოფილი შმიდტის ქ.) არსებული მიწის ნაკვეთისთვის „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეული – ა. ჩოქურა).

9. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლვოვის ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ვ. ცომაია).

10. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კრონშტანტის ქ. (ცაგარელის) №72/ ცაგარელის ქ. №70–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – მ. კურცხალია, ზ. იმედაშვილი).

11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შავი ზღვის ქ. №№1–3–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – მ. მირზიაშვილი, რ. ჩომახიძე, თ. აბულაძე).

12. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შავი ზღვის ქ. №1–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – მ. მირზიაშვილი, რ. ჩომახიძე, თ. აბულაძე).

13. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის I შესახვევის №1ა–1, ქობულეთის ქ. №12–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ირ. ჩირაძე).

11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შავი ზღვის ქ. №№1–3–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. მირზიაშვილი. AR 1209148
დადგენილი პარამეტრები – კ2=4,6.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=4,2.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=7,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1.მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შავი ზღვის ქ. №№1–3–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=7,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

12. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შავი ზღვის ქ. №1–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. მირზიაშვილი. AR 1209150.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,7, კ2=3,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,5, კ2=4,2.

საცხოვრებელი სახლის (სამბინიანი) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ".

განმცხადებელი – ირ. კვარაცხელია. AR1205360.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 31 მარტის №661 განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე. ნაცვლად "ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.094)" დაფიქსირდეს " ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.094) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სამბინიანი) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ".

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე ერაკლი აბესაძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი: ლევან გეგეშიძე